


# მწყემსი



მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაჰსდგის ცხოვართათვის. (იოან. 10—11).  
 ვპოვე ცხოვარი ჩემი წარწყმედილი. ესრეთ იყოს სინარული ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. (ლუკ. 15—4).  
 მოკვდით ჩემდა ყოველნი მასურადნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენოთ თქვენ. (მათ. 11—28).

**№ 1** **1883-1892** **15 ანგარი.**

გ ა ზ ე თ ი ს თ ვ ა ს ი :

12 თვით	5 მან.	«მწყემსი» რუსული გამოცემით	12 თვით	6 მან.
6 —	8 —		6 —	4 —

ფულისა და წერილების გაზგზავნა შეიძლება ამ ადრესით:  
 68 Квирини, Въ редакцію „Мисемსи“ и „Пастыр“.

ყველა სტატიები და კორექსონდენციები, რომელნიცა იქმნებიან დასაბეჭდავთ გამოგზავნილი ვრცელად და გასაგებად უნდა იყვნენ ავტორთან სელ-მოწერილინი.  
 სტატიანი, რომელიც არ დაიბეჭდება, სამი თვის განმავლობაში შეიძლება ავტორებს მათის ხარჯით უკანვე დაებრუნოს. სტატიები მიიღებიან რუსულს ენაზედ დაწერილიც და თარგმნით დაიბეჭდიან.

შინაარსი: ჩუყა წელიწადი.—დღესასწაულობა ქუთაისის საქალგო სასწავლებელში 14 ანგარს.—თამარ მეფის სურათი.—ნათლისღების დღეს თბილისში მომხდარი უბედურების გამო.—მეგობრის წერილი.—ახალი წელი.—საახალწლო ეკსპრომტები.—ახალი ამბები და შენიშვნები.—მოთხრობა ერთიმ ლურსმანზე, რომლითაც იყო მიჭედილი ჯგვარზე იესო ქრისტე.—საახალწლო საუბარი მრევლის მღვდლისა.—საეჭგო კითხვების განმარტება.

## ჩუყა წელიწადი.

ჩუყა წელიწადმა ჩვენი თვალის წინ გაიარა და შეუერთდა წარსულ დროს საუკუნოდ, მოუბრუნებლად. ვინც კაცური ცხოვრებით სცხოვრებდა, ვინც ღვთისგან მონიჭებული გონებით თვალსა და ყურს აღენებდა ამ წელიწადს და ამა წელში ხალხის ცხოვ-

რებას და მოქმედებას, ის, რასაკვირველია, კარგად შენიშნავდა, თუ რა მოუტანა ამ წარსულმა წელმა სახელმწიფოს საზოგადოდ და ჩვენს ქვეყანას განსაკუთრებით. რა მოხდა წარსულს წელში შესანიშნავი? რით ვისახლოვთ თავი? რა დაუტოვეთ ამ წელში ჩვენს მომავალს თაობას კეთილ-სახსოვრად და წახაბაძვით? აი კითხვები, რომელზედაც გვინდა შევაქიოთ



ჩვენი მკითხველების ყურადღება. ყოველი კაცის, ყოველი ქრისტიანის ეალთა გამოიკვლიოს წარსული დრო და წარსულ დროში თავისი ყველა ნამოქმედარი. მხოლოდ ამ ღონით, ამ საშუალებით შეუძლია ყველას ცული საქმის აშორება, ცხოვრების სარბიელზედ წინ ფეხის წადება, წარმატება და კეთილდღეობის ხილვა. ვაი იმ ერს, ვაი იმ კაცს, რომელიც წარსულ დროს არ გამოიკვლევს, აღარ ახსოვს თავისი ნამოქმედარი, მარტო ახალს მომავალს შენატრის და მხოლოდ ერთი მარტო მომავალის იმედით სცხოვრებს...

მაშ გადავავლოთ თვალი წარსულს წელს: რა მოხდა ამ წელში შესანიშნავი? ვინ როგორ მოიხმარა ღვთისგან ბოძებული ტალანტი?...

ყოველ გაჭირვებისა და დაღუპვის დროს პირველად სიტყვა თქვენზეა, მწყემსნო კეთილნო! თქვენ ხართ წინამძღვარი თქვენი სამწყსოსა, თქვენ ხართ მზრუნველნი მათზედა, თქვენ ხართ ვალდებულნი იზრუნოთ სულისა და ხორცისათვის თქვენი სამწყსოსა, თქვენ ხართ მათი ნუგეშისმცემელნი. ყოველივე უნდა მოითმინოთ, ყოველი გაჭირვება და ტანჯვა უნდა აიტანოთ, ოღონდ სულიერნი სამწყსონი თქვენი არ განიბნენ და არცა ერთი მათგანი არ დაუკარგოთ მასს, ვინც თქვენ ჩაგაბარათ იგინი. ამ მხრით რომ თვალი გადავავლოთ ჩვენს საზოგადო ცხოვრებას, ჩვენი სამღვდლოების სამსახურს და მათ მოქმედებას, უნდა ესთქვათ საწუგეზოდ, რომ სამღვდლო წოდება, შეძლებისა და გვარად, ასრულებდა თავის მოვალეობას, თავის სამსახურს, არ ჩამორჩენილა იგი სხვა წოდებას. რაც რამ გამოცხადებულა ხალხის საკეთილდღეოდ, იგი ნიდაგ მას აძლევდა და ცდილობდა ყოველი კეთილის განკარგულების სისრულეში მოყვანას. თუმცა რამეში უკან დაუხევიდა და ვერ აუსრულებია ის, რის ასრულებასაც მათი სამწყსონი მოვლოდნენ, ეს იმიტომ მომხდარა, რომ მას წინ ეღობებოდა მრავალი მიზეზები. მას მტრად ხედებოდნენ უცნობნი და ნაცნობნი, შინაურნი და გარეუღნი მოყვანნი და ნათესაენი. ამისათვის მომავალი თაობა არ მოიხსენებს მწყემსთა თვისთა ცუდათ, თუ მათ ვერ აასრულეს თავიანთი დიდი მოვალეობა რიგისამებრ.

მაგრამ მომავალ თაობას მრავალი ფაქტები რჩება ხელში, რომელთა ძალით მას შეუძლია არა კეთილად მოიხსენოს ზოგიერთი ჩვენი მოძმენი, რომელნიც ერთობ გაუტაცებია ამ წუთის სოფლის ცხოვ-

რებას. ზოგიერთები, მართლა, ისე გაუტაცნია ცხოვრების ტალღებს და ნიეთიერ დიდებას, რომ ლამის მათ დაავიწყდესთ სულიერი დიდება. ზოგიერთები, და სამწუხაროდ უფრო უმაღლესი სწავლის მიმღებნი პირნი, თითქმის ამტკაცებენ, რომ «იერუსალიმში წასვლა კი არ მეშორება, მაგრამ მეჭორება». ამ შემთხვევაში საყურადღებოა წარსულს წელში უმაღლესი მთავრობისაგან მომხდარი განკარგულება, რომლის ძალითაც ერთსა და იმავე დროს ერთსა და იმავე პირს აღეკრძალა სამი ოთხი თანამდებობის ხელის მოკიდება. მოგვხსენებათ, კაცის გული გაუმაძღარია და რამდენს მეტს აიღებს, იმდენი მეტის აღების სურვილი სტანჯავს და არ აძლევს განსვენებას. მეტს ფიქრობს იმაზედ, რომ შემოსავალი გამაჩველოს და ამ მიზეზისა გამო სამწყსონი იბნევიან და ზარალდებიან. უმაღლესმა მთავრობამ ეს კარგად შენიშნა, მაგრამ ჯერეთ უმაღლესი მთავრობისაგან გამოცემული კანონი ყველგან და ყოველთათვის ძალაში არ შესულა...

გადავავლოთ თვალი იმ წოდებას, რომელსაც დავალებული აქვს წესიერების დაცვა და ხალხის დაფარვა მტაცებელ ავაზაკთა და სხვა აშკარ მავნე პირთაგან. რას ვხედავდით წარსულს წელში? მისთანა დაფარვა თქვენს მტერს მიეცა. როგორათაც ზოგიერთები იყენენ დაფარუნი: ოჯახებში ავაზაკების ბრბოთა ხანჯლებს ჩახა-ჩუხი გაქანდა და საცოდავებს წელს აყრევიებდენ თავის თვალს წინ. ჩვენს ხალხს წარსულმა წელმა მოაგონა თათრების ნავარდობის და შამილის შემოსევის დრო. მაგრამ ძველი დრო მათთვის უფრო ადვილი ახატანი იყო, რადკან მაშინ ტყვეთ მიჰყავდათ და ამ საცოდავ მსხვერპლთა ფულით გამოსყიდვა მაინც შეიძლებოდა. ეხლა ფულიც და ქონებაც მიაქვსთ და თავსაც სჭირან!.. ერთ გუბერნიაში რომ სრული მშვიდობიანობაა, მეორეში ქვლეტა არის! რატომ? ნუ თუ ყველგან ერთი და იგივე კანონი არ მოქმედებს? კანონი, მართალია, ერთი და იგივეა ყველგან, მაგრამ აღმსრულებელნი კი სხვადასხვანი არიან. იქნება სთქვან: ხალხია სხვადასხვა: ერთგან ველური და მეორედგან განათლებული. ერთის მხრით ეს აზრი გვიწევებათ უფრო საბუთიანად, მაგრამ ერთსა და იმავე ხალხში რომ ერთს დროს მშვიდობიანობა სუფევს და მეორე დროს ხალხის ქვლეტა, ეს რისგან არის?.. ყოველს შემთხვევაში მომავალი თაობისათვის წყევით მოსაგონარი იქნება ძველი წელიწადი...

გადაველოთ თვალი 1891 წელში მომხდარს სამართლიანობას და მოსამართლეებს. აქაც სასიამოვნო პოვლენას ბევრს ვერ შევამჩნევთ. ნათქვამია: „სჯობს ათი დამნაშავე გამართლებულ იქნეს, ვიდრე ერთი მართალი დაისაჯოს“. ქეშამაჩიტად მტკიცედ აღვიან ამ აზრს!.. ბევრი დამნაშავე და ბრალდებულია განთავისუფლებული, ალბათ მისთვის, რომ მართალი არ დასაჯონ!..

პრაველი ცარცვა-გლეჯა, მტაცებლობა და კაცის კვლა მოხდა ამ უბედურ წარსულს წელში, მაგრამ როგორც «ადვოკატების» სიტყვებიდან სჩანს, დამნაშავე არავინ არ ყოფილა!..

გადაველოთ თვალი და შევიტყოთ, თუ რა სამსახური გაუწია საზოგადოებას წარსულს წელში ბეჭედითი სიტყვამ. აქაც დიდ სანუგეშოს ვერ ნახავს ჩვენი მომავალი თაობა. ერთხელვე გამოაცხადეს ზოგიერთებმა, რომ გაზეთი ყოველ დღეს გამოიცემაო. ღლიური გაზეთების გამომცემლები მალე დარწმუნდნენ, რომ სულიერი საკვები მკითხველთათვის ძნელი საშოგარია ყოველ დღეს.

ღმერთმა მშვიდობა მისცეს სხვა გამოცემათა, მაგრამ სამწუხაროა, რომ ერთად ერთი საერო გამოცემა ივერიელთა აღარ ივერიელობს...

გადაველოთ თვალი წარსულს წელში დანარჩენი საზოგადოების მოღვაწეობას, რით ისახელა მან თავი? რა დაუტოვა მომავალს თაობას წასაბამი? უბედური იყო წარსული წელი რუსეთის ზოგიერთი გუბერნიების მცხოვრებთათვის, რომელნიც სრულგებობით დაიმშენ და დაიღუპნენ გვალვისაგამო, ცხადდა და აშკარად გამოჩნდა საზოგადოებაში მოყვასთა ზედა გულის შემატკიერობა. ყოველი მხრიდან მოისმა ხმა შებრალებისა და შეწყალებისა, ყოველი მხრიდან მიზღვედა შეწირულება ამ დამშეულთათვის. აღარ არის შიში სიმშლიისა და სიმშლიისაგან ტანჯვით სიკვდილისა. ხალხმა შეიგნო და მიხედა, რა უბედურებაა ხალხისათვის შიმშილობა, შეიგნო კარგად, თუ რა უბედური ბოლო მოეწიოს კაცს კუჭის საზრდოს უმეკონებლობისა გამო. სწორეთ ძლიერ მოსაწონი და საქები საქმეა...

მაგრამ სწორედ უბედურება არის, რომ დღემდე ხალხმა კიდევ ვერ შეიგნო კარგად, რომ უარესი საშიშოა გონების დამშევა კუჭის დამშევაზედ; ვერ შეიგნეს კიდევ და ვერ მიხედნენ, რომ ასეთივე მხურვალე მონაწილეობა უნდა მიიღონ გონებით დამშეულთ დახმარებისათვის, რადგან გონებით დამშევა ხალხისა ხშირად უსაშინელესია კუჭის დამშევაზედ. მაგრამ ამას უნდა დიდი დრო და დიდი გამჭრიახობა საზოგადოების მხრივ. ეხლანდელი საზოგადოება, რომლისათვისაც ფარისევლოურ სიმეფევს ძვალსა და რბილში გაუფლია, ვერ მიხედება კიდევ ამ საჭიროებას და კიდევ კარგი დრო უნდა, რომ ყველა ესეები შეიტყოს. ღმერთმა ინებოს, რომ ამისთანა დრო მალე დამდგარიყოს და ყველა ერთად შეესწრებოდეთ ამ სასინარულო დროს.

## დღესასწაულობა ქუთაისის საქალებო სასწავლებელში 14 იანვარს.

ქუთაისის საქალებო გიმნაზია დაარსებულია წმ. მოციქულთ-სწორის წინას სახელზედ და ამიტომ გიმნაზია ყოველს წელს იანვრის თთვია 14 დღესასწაულობს თავისი მფარველის სახელს. წელს, 14 იანვარს ამ სასწავლებლის ეკლესიაში წირვა შესრულდა ყოველად საძღვდელო გაბრიელმა კრებულთურთ. წირვაზედ გალობდა მგალობელთა ორი გუნდი: არქიერის მგალობლები და თვითონ სასწავლებლის მოწაფე ქალები. წირვის შესრულების შემდეგ მისმა ყოველად უსაძღვდელოესობამ წარმოასტქვა მგრძობიარე სიტყვა, რომელიც დაბეჭდილია ჩვენი გამოცემის რუსულს განყოფილებაში. სიტყვის გათავების შემდეგ მათმა მეუფებამ შესრულა პარაკლისი წმ. მოციქულთ-სწორის წინას სახელზე. პარაკლისის შესრულებაში მონაწილეობა მიიღეს დეკ. დ. ლამაში-

დემ, საკრებულო ტაძრის მღვდლებმა ბლალ. მმ. იოსებ ჭიშვილმა, ნესტორ შენგირაძემ და ამ სასწავლებლის ეკლესიის მღვდელმა მ. ალექსი გიორგაძემ პარაკლიის გადახდის შემდეგ წარმოთქმულ იქნა მრავალ-ქამიერობითი მოხსენება მათ იმპერატორებით დიდებულებათა, მემკვიდრე დიდი მთაერის ნიკოლოზ ალექსანდრეს მასა, სასწავლებლის მასწავლებლები და მოწაფეთა. შემდეგ მოხსენებულ იქნა ამ სასწავლებლის დამაარსებელი, აწ განსვენებული ელახაბედი გორონცოვის მეუღლა. ჯვარზე მთხვევის დროს მათი მეუფება მოწაფეებს და ვარეშე მლოცველებს ურიგებდა პატარა წიგნაკებს, რომლებშიაც აღწერილი იყო ცხოვრება და მოღვაწეობა წმ. ნინასი, ქეთევანისა და რაქდენისა სურათებით. წირვაზედ დაესწრო ქუთაისის გუბერნატორი და სხვა დაწესებულებათა წარმომადგენელი. ეკლესიიდან ყველა დამსწრენი გაემგზავრნენ სასწავლებლის შესაკრებელ ხალაში აქტზე დასასწრებლად. აქ ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის მასწავლებელმა ბ. ზგურსკიმ წაიკითხა სასწავლებლის ერცელი ანგარიში, რომელშიაც მოუთხრო მსმენელთ სასწავლებლის მდგომარეობა დღიდან მისი დაარსებისა: ანგარიშის წაკითხვის შემდეგ მოწაფე ქალებმა იგალობეს რამდენიმე საგალობელი. შემდეგ გიმნაზიის მასწავლებელმა ბ. იურკოვსკიმ წაიკითხა ლექცია ლერმონტოვის შესახებ. ამას შემდეგ მერვე კლასის მოწაფე ქალმა. გამრეკლოვმა მშენიერად დაუკრა როიალზედ. შემდეგ 7 კლასის მოწაფემ წაიკითხა ლერმონტოვის ბიოგრაფია. დასასრულს მოწაფეებმა იგალობეს «ღმერთო ჰუარვიდე მეფეს». დასასრულს სასწავლებლის უფროსმა საუზმეზე მიიწვია ყველა საპატიო პირნი, ნაშუადღევის 3 საათის ნახევარზე სტუმრები მშენიერის შთაბეჭდილებით წავიდნენ სახლებში. სამუშაოა, რომ ყველა ჩვენს სასწავლებლებში არ უქობდნენ ამ დღეს.



თამარ მეფე. \*)

ნათლისღების დღეს თბილისში მომხდარი უბედურებისა გამო.

თქვენი მტერია, თბილისის ზოგიერთ გაზეთებს საქმე ჰქონდათ გაჭირებული საწერი მასალის უმეჭონებლობისა გამო. ერთს გაზეთს თავის ფურცლებზე თავიდან ბოლომდის მასხარობის მეტი არა ჰქონდა რა დაბეჭდილი. მკითხველი საზოგადოება მოუთმენლად მოელოდა ამ გაზეთის პირველი ნომრის წაკითხვას და, როდესაც მასში მასხარობის მეტი

\*) ისტორიული მოთხრობანი, როგორც თამარ მეფეზე ისე საქართველოს სხვა შესანიშნავ მეფეებზე, შემდეგ ნომრებში იქნებიან დაბეჭდილნი.



ვერა ნახა რა, ბევრი ინალელა მისი გამოწერა, მაგრამ რაღა დროსი იყო. სწორეთ მოსწრება იყო ამ გაზეთებისთვის ნათლისღების დღეს თბილისში, ვანქის სობოროსთან მომხდარი უბედურება. აი რაში მდგომარეობს ეს უბედურება: თბილისის სომეხთ სასულიერო წოდებამ არ ისურვა ვარანცოვის ხილზედ გასვლა იორდანეზედ წყლის საკურთხებლად. ნაცვლად ამისა ვანქის ტაძართან გააკეთა მდინარე მტკვრის ერთს ტოტზედ ხილი. უკან დაბრუნების დროს, როცა ხალხი ბლომად შეიჯგუფა ხილზედ, ერთი ლეწა გახდა და ეს ამოდენა ხალხი წყალში ჩაცვინდა. ამათში ბევრი გადაარჩინეს და რამდენი საუკუნოდ დაიღუპა, ეს ჯერ-ჯერობით ნამდვილად არ არის შეტყობილი. რისგან მოხდა ეს სამწუხარო ამბავი? რისთვის და ვინ გაბედა ამისთანა ცუდი ხიდის გაკეთება, თითქმის ყველასათვის ცხადია. მაგრამ ამას ხომ არ დასჯერდენ. მოყენენ ათასნაირ წილადობილობას და აგერ ათი დღე იქნება, რაც ამ ამბის მეტი აღარა იბეჭდება რა თბილისის ზოგიერთ გაზეთებში. ზოგიერთი გაზეთების კორრესპონდენტები იმასაც კი სწერენ, თუ რას ფიქრობდენ წყალში ჩავარდნის დროს და ან დახრჩობის შემდეგ ამ უბედურების მსხვერპლნი. ზოგნი დიდ პოეტებს აღგენენ და ურჩევენ სომეხთ სამღვდელეობას და საზოგადოებას, რომ შემდეგში უფრო კაი ხილი გააკეთონ და ეს მამაპაპური ჩვეულება. — პირდაპირ ვანქის ტაძრიდამ გამოსვლა იორდანეზე, არ მოიშალონ, თუ გინდ რომ ხიდის გაკეთება 40000 მანეთამდე დაუჯდესთ. ამ დროს არც ერთ გაზეთს და არც ჩვენ პუბლიცისტებს კრინტი არ დაუძრავსთ და არ უკითხავსთ სომეხებისათვის, თუ რათ იხრჩობდენ ეს კაცები წყალში თავს, რად ხარჯვენ ფულს დროებითი ხიდის გაკეთებისათვის, როდესაც იქვე, ხუთ ნაბიჯზე მშვენიერი ხილია, რომელიც, ჩვენის აზრით, არა თუ მარტო თბილისის სომეხების სიმძიმეს გაუძლეებს, არამედ მთელი სომეხობისას. ნუ თუ დღემდისინ ვერ შეიტყო სომეხობამ, რომ ვორანცოვის ხილზე მოვლა სჯობია, ვინემ წყალში დაღუპვა? იქნება თავისმოყვარეობა არ აძლევს ნებას სომეხებს, რომ ამ დღეს მათ გაიარონ ვარანცოვის ხილზე შემდეგ მართლ-მადიდებელი სამღვდელეობისა! თუ ეს ასეა, ნუ თუ არ შეიძლება, რომ მათ იორდანე გააკეთონ ვანქის ტაძრის ცოტა ქვემოთ, წისქვილის მახლობლად, სადაც კაი ფართო ადგილია? რა საჭიროა ხიდისათვის უბრალოდ

ფულის დახარჯვა, როცა ეს ადგილი მოსახერხებელია? ამ აზრის და რჩევის მოუფიქრებლობა თბილისის გაზეთების და მწერლების მხრით ჩვენ ძლიერ გვაკვირებს, და თუ ვინმე წინააღმდეგს დაგვიმტკიცებს, ჩვენს სიტყვებს უკანვე წაიღებთ.

მოგვყავს გაზეთ «იერიილგან» ზოგიერთი ცნობები ნათლის-ღება დღეს ვანქის ტაძართან მომხდარს უბედურების შესახებ:

«სხვა საღაპარაჲ საგანი აღწა აქეთ—რა ამ უმად თბილისელებს, გადდა ნ ანგაჲს მომხდარ უბედურებასა. სადაც კი მიიხედავთ, სახლში, ეზოში, ქუჩაში, ერთი სიტყვით, შინ თუ გარედ დიდი და პატარა ისევე ამ საქმის შესახებ ჭლაპარაკობს. უეცრად თავზარდატყმულნი თბილისელები პირველში მხოლოდ თავისს უბედურებას და სწიფდნენ, მაგრამ ესლა კი უკვლა მიხედავს კმაყეს, ვინა ბრალა, ვინ დაღუპა ეს ამდენი ხალხი. ჩვენ ჩვენის მხრით ამაზე კერაფერს ვიტყვით, მაგრამ შემდეგ გარემოებათა მოხსენებას—კი საჭიროდ ვსადათ.

სულ ადრევე სომეხთა სამღვდელეთა კრებული წყაღუთსეკას წესის აღსასრულებლად ღიბანიით ვარანცოვის ხილზე წამოვიდოდა სოლმე. მაგრამ შემდეგში ერთმა გარემოებამ იმულებულ ჭეო ხიდი გაქმართა ვანქის ტაძრის შირ-და-შირ და ამ ხილზე ევლათ. რომ საშიშო იყო სახელდასკლად გაკეთებულის ხიდის ნდობა, ეს მაშინვე შეიგნეს სომეხებმა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ერთხელ, ამ რცოადე წლის წინად ხიდი ჩაწყდა წლეკანდებურად და საფხი დაიღუპა. ამ ამბავმა დააფიქრა სამღვდელეთა კრებული, გააფრთხილა შემდეგისთვის, მაგრამ წლეკანდელმა ამბავმა ნათლად დაანახა საზოგადოებას,—რა გაფრთხილებაც უსწავლება ამ ადრინდელს უბედურებას. პირველი და უგანასკნელი სიფრთხილე საქმის მეთაურებისა ის იყო, რომ ყოველ წლეკ სანათლიდებოდ გამართულს ხიდს, სურათ-მომღვაჲს მოიწვევდნენ სოლმე, და გაასინჯებდნენ, ეს იყო და ეს. ეს რომ ვარგია და ვარგია, მაგრამ განა უკეთესად არ შეიძლება და საქმის მოწყობა? ერთმა ღვთის-ნაკრამ ვარგა, აკოფოვმა, ვარგა ხანია მასალა იყიდა რკინის ხიდისა და შესწინა სომეხთა კონსისტორიას, რომ ერთხელვე სამუდამოდ მაგარი ხიდი გაკეთებულიყო და შიში აღწაფრთხისა ჭქანოდათ ყოველ წლეკ. ეს ლაც ეს ნაყიდი მასალა ვანქის ტაძრის გაღავნაში აწევია. კონსისტორიას რომ დროზე ეთავა, ხელფასი გაეღო რკინის ხიდის აშენებაზე, მაშინ მკონი-კი არა, უთუოდ აკვირდებოდა წლეკანდელი უბედურება.

მაგრამ განა მარტო რკინის ხიდს გარდა, სხვათ  
 რე ხსნა არ შეიძლება. თუ გული გულისხმ, იტ-  
 ვიან, ჭადა რკინის ხელით იჭევიან. შეიძლება, მაგ-  
 რამ საქმისთვის თანაგრძობა იყო საჭირო, გულ-და-  
 დება, გულიანად მოვიდება საქმისა. ხოლო, როგორც  
 ამ საქმის უკვე გამოჩვენებულ ვითარებათაგან სხანს, უკ-  
 ლა ფორმალურად მოჭიდება. ერთის მხრით ქალაქის  
 გამოკლება ატყდას საქართველოდ, ჩვენი არა ბრალია, რაც  
 ჩვენი გასაკეთებელი იყო, უკვლავი განაკეთოთ და  
 შევასრულეთო, ე. ი., გეთხროს და ნება არ მივიღო-  
 თო და არა გეთხროს და არა შევამოწმეთო!... მუ-  
 რის მხრით სომეხთა სსსრულიერო კონსისტორიის ამტკი-  
 ტებს, ქალაქის გამოკლება მართლაც არ ამბობს, ჩვენ რა  
 შუაში ვართ, ერთხელ ვიფიქროთ და განათავსოთ, თუ  
 რამ საზრუნველი იყო, იმას უნდა ეზრუნა, ჩვენ რა  
 ხურთ-მომღვრები და ღურგლები ვართ, რომ ხიდი  
 შეკეთდებოდნო. მოდი და გაიკეთ, ვინ მართლაც,  
 ვინ ბრალიც. საქმე, როგორც ქსედავთ, ძლიერ არეულ-  
 დარეული და გამოურეგულია, მაგრამ მართალი აი რა  
 არის:

რაცა წლეულს სომეხთა კონსისტორიის დაუზი-  
 რების განქის შინადაზიარ სანთლილებოდ დროებით ხის  
 ხიდის გაკეთება, უწყება გაუგზავნია საქალაქო გამოკლე-  
 ბისათვის და უთხოვნიან, ხურთ-მომღვრები გამოკლე-  
 ვანეთ ხიდის გაკეთებას თქალა ადვილად. ქალაქის გამ-  
 გობას ხიდის გეგმა მოუთხოვნიან, ჯერ კიდევ გამო-  
 მოკლეგზავნით და მერე გამოკლეგზავნით ხურთ-მომღ-  
 ვარსო. სომეხთა კონსისტორიის ეს თხოვნა გამოკლე-  
 ბისა სხვა-და-სხვა მიზეზების გამო ვერ შეუსრულდება.  
 ამას შემდეგ ქალაქის გამოკლება საქმეში აღარ ჩაბრუნდა  
 და მარტო კონსისტორიის-ღა უწამობდა. ხიდის გა-  
 კეთება იხარით ყოფილა გაცემული. ამბობენ, ხიდი  
 კერძო ხურთ-მომღვრამა შეამოწმა, მაგრამ თვით  
 კონსისტორია კი ამის შესახებ სრულიად არა ამბობს  
 თავისი განცხადებაში, რომელიც დღეს ჩვენს ცაზეთშია  
 იტყდება. თუნდა გასეთების სიტყვაც დავიჯეროთ და  
 მარტად მივიჩნიოთ ის ამბავი, რომ ხურთ-მომღ-  
 ვარმა შეამოწმა ხიდი, მაინც საქმის დიდი დაუდევრობა  
 იტყობა. გასეთების სიტყვით, ხურთ-მომღვარს უთქ-  
 ვამს, ერთად ხუთ-ხუთზე მეტი კაცის ცატარება არ  
 შეიძლება ხიდზე, მაგრამ, როგორც ვიცით, ხიდზე  
 ხალხის გაკლასი დროს ნათლილება დღეს ისეთი ტყვე-  
 ჭედიტა იყო, რომ ნემსის გუნწიც არ ჩავარდებოდა.

აი ეს არის ჯერ-ჯერობით გამოჩვენებული მართლად  
 ამ საქმის შესახებ. ვინ არის თავი და თავი მიზეზი  
 მომხდარის უბედურებისა, ამას გამოძიება აღმოჩენს,  
 რომელიც უკვე სწამობს ამ ყამად.

დაღუპულთა რაოდენობის შესახებ ცნობანი ჯერ  
 ვიდევ ვერ არის გამოჩვენებული, მაგრამ, როგორც შე-  
 ვიტყუთ, ნ იანკრის უბედურება მარტო ხალხის დასო-  
 ტვით არ დამთავრებულა: რამდენსაც კაცს, წყალში გა-  
 ტყუებულს, ფელტკეის ანთება მოსკლას და რამდენიმე  
 ბიჭს ტყუაზე შეძლილა შამისა გამო.

ნ იანკრს დაღუპულთა გვარები ჯერ მხოლოდ  
 შემდეგი შევითყუთ: თბილისის მცხოვრებნი: გრაქურ-  
 ფანაშის ძე კატანანცი, გვერცხ სენოს ძე აკოფო-  
 ვი, სარბეკ არითუნას ძე მუშტუნოვი, ალექსანდრე აჭა-  
 ნუას ძე გრაქუროვი, ისაკ ალექსის ძე მინასოვი, ბა-  
 დალ ტურანთინოვი, მადავია სემონოვი, პეტრუზ-  
 იანუზოვი, როგორც იანუზას ძე ბილბილოვი, თბილი-  
 სის მცხოვრების როსტომოვის 16 წლის მოსამსახურე,  
 რომლის გვარი ჯერ არა სხანს.

ახალბაიაზეთის მცხოვრებნი: გვერცხ შაროვი.  
 ქელამ ბადმესოვი, სისაკან ხალგაშოვი; სასელანო სა-  
 სწავლებლის მოსწავლე კარანტე კანაროვი, სპანსელი  
 ბაბაიანაშეტ-ოღლი; კოდელი გლეხა უსარს საქულოვი  
 აღათაშვილი, ნახეჩინის მარტელი მისეილ ნარაროვი და  
 გეორგ მარსასანოვი, განჯის გუბერნიის მცხოვრები  
 პეტრეს ბაგრაძე, გორის მარტის, სოფელ ხანარე-  
 თის მცხოვრებელი დავით ლეფარაშვილი, სიღნაღელი  
 სუქიას სუქიასოვი, ველისციხელი საქულ დავიდოვი, თე-  
 ლაველი შაქარია არუთინოვი, მეგრელი იაკობ კუმბავა,  
 გუმბრელი ტომის საგოანცი და სარქის ტურანქელოვი,  
 უსახელი პავლე შაპავა, ილია გრუბელაძე.

მომეტყულები წილი დაღუპულთა სულ მუშა და  
 ხელსახანი ხალხი ყოფილა.



მ ე მ ო ზ რ ი ს წ ე რ ი ლ ი .

სურათი ცხოვრებიდან.

ახალს გემოზე მორთული ოთახია. უნაკლო სისუფთავეა ყველგან იატაკს ლაპლაპი გააქვს სანთლის შუქზე. სტოლზე ორი სტეარინის სანთელი იწვის. სტოლთან ევროპიულად ჩაცმული ყმაწვილი ზის. სულ ოც-და-ათის წლის იქნება. წინ საწერკალამი და ფოსტის ქალაღი უდევს, ალბად წერილის დაწერას აპირებდა, მაგრამ რაღაცას შეუწყენია. მარჯვენა ხელისაკენ ამერიკულის სისტემის რევილ-ვერი ღვეს ტყვიებით გატენილი. ყმაწვილი ორივე ხელებზე თავ-დაბჯენილია და მეტის-მეტად ჩაფიქრებული. ეტყობა რაღაც ძნელი საქმის გადაწყვეტას შესდგომია. ის ხან სანთელს შეაჩერდება, ხან ფოსტის ქალაღს დასცქერის, ხან ახლად მიღებულს წერილს შეასტერდება და დრო-გამოშვებით რევილ-ვერსაც გადახედავს ხოლმე გვერდზე. მთელი ერთი საათი ამ მდგომარეობაში გასტანა. ბოლოს ის უეცრივ შეინძრა, თითქო ახლა გაიღვიძაო, ხელები სტოლზე ჩამოუშვა და ნაწყვეტ-ნაწყვეტად წარმოთქვა: „არა, გადაწყვეტილია!... ამას ვერაფერი შეცვლის!... ამისაგან ვერა შემაყენებს რა... ეს ჩემი სურვილია და ასე უნდა მოხდეს... მერე რისთვის?“ — ეკითხება ის თავის-თავს და თვითონვე მიუგებს! — «რისთვისაო?!. მისთვის, რომ აშნაირი სიცოცხლე, სიცოცხლე არ არის!.. ეს უნაბუსობაა, უპატიოსნებაა, ავაზაკობაა, მხეცობაა და ათასი სხვა»!! ადგება და დიდხანს ჩაფიქრებული დადის, შემდეგ განაგრძობს თავისთვის ლაპარაკს: «გუშინ-ღამ კლუაში ვიყავი. მეორე საათზე დაგბრუნდი სახლში... მოსამსახურემ კარები გამიღო და პალტო მომაძრო. მე საწოლს ოთახში შევედი, მოსამსახურეც შემომყვა, გამხადა და დამაწვინა. მე დავიძინე. დილის ათი საათია. კიდევ მოსამსახურე შემოვიდა, გამაღვიძა, ერთს ხანს ლოგინში ვაჭყვიტე თვალები, მერმე ხარმაცად წამოვიწიე, ტანზე ვადვიცი, მოსამსახურემ ფოსტლები მომაწოდა, მე ფეხი შევედგი შიგ და ავდგეკი. მერმე წყალი მომიტანა და პირი დამაბანა. ტანისამოსი გამიწმინდა. კობტად გამოვეწყვე და ჩაი მოვიტხოვე. მომიტანეს დაშაქრული პურებით. მუცელი ამოვიროხე და ეტლი ვუბრძანე, ჩავჯექი და

სამსახურში წავედი. გზაზე მუშები ქვას ამტვრევდნ გზის მოსაკენჭად. ერთმა მუშამ ფეხზე შემოიკრა ჩაქუჩი და ძლივს მოგკარი თვალი, როგორ დაიმაჩა და დაიგრიხა. ალბად ეტკინა, იქნება კიდევაც დაიბტერია ფეხი, ვინ იცის. შუადღის ორს საათამდის სამსახურში დავრჩი. რა გავაკეთე, არ ვიცი, ან სათქმელადაც არ ღირს. შინისაკენ ფეხით წამოსვლა მომესურვა, რადგან ახლო იყო და ამასთან ტალახიც არ იყო — კარგი დარი იდგა. ის ფეხმტკივანი მუშა ისე-ისე იჯდა და ქვას ამტვრევდა. ფეხი გასივებოდა და რაღაცა ძონძებით შეეკრა, შეეკრა-კი, მაგრამ სისხლის ღენა ვერ შეეწყვიტა, გარეთ გამოეტანებინა, როგორც შევნიშნე. «რას ღებულობ ღღეში ქირასათქო, ვკითხე გავლით. — «ათს შაურს, ბატონო»-ო, მიპასუხა მან. მაშინ ეს ქირა კიდევაც მედიდა, ახლა კი მრცხვენია: მე ღღეში თითქმის თუშანს ვღებულობ...»

მოვედი სახლში. კიდევ მოსამსახურე მომეგება (თთვეში მას თუშანს ვაძლევ). ცოტა დამტვერიანებული და გაოფლიანებული ვიყავი. ტანისამოსი გამოვიცვალე და მოსამსახურეს ვუბრძანე, რომ გაეწმინდა. ფეხით წამონარებს მომშივნოდა საშინლად და საღილი მოვიტხოვე, მომიტანეს სხვა და-სხვა ხელი საქმელები, რასაკვირველია, რიგ-რიგად. მე ხარბათ დავუწყე ჭამა. კარგად რომ გამოვძენი, ლოკინში შევეწვიე და რაღაც რომანი ავიღე და კითხვა დავიწყე, თანაც ხუთ მანეთიანს სიგარს ვწევდი. ძილი მომერია, ნახევარზე მეტი სიგარა გადავაგდე და თვალები მივანაბე, ტკბილად დამეძინა. ხუთს საათზე გავიღვიძე. კიდევ მოსამსახურე შემოვიდა, ხელ-პირი დამაბანა და ტანზე ჩაცმის დროს მიშველა. ახლა საღი-ზიტოდ გამოვეწყვე, საკავალროდ შევიმოსე, სუნენლოვანი ღუბებით შევისველე და თავ-პირი და ქალებისაკენ წავედი. შვალამედის მათში ღლაბუს მოვუნდი. ბევრი ვინეტალე და კარგი დროც გავატარე; ძალიანი გავერთე და სიამოვნებით დამტკბარი სახლში დაგბრუნდი. გზაზე წვიმა მომეწია და, რადგან საწვიმარი ტანისამოსი არ მქონდა თან, ეტლს დავუძახე, ჩავჯექი და ისე მოვედი შინ, თუშცა ჩემს სახლამდის ოცი ფეხის ნაბიჯიც არ ყოფილა. ჩემი სახლი საშინლად კაშკაშებდა სანთლებით. ოთახში რომ შევედი, მოსამსახურემ ახალი გახეთები და ერთი ფოსტით მოსული წერილი გადმომცა. გახეთები გვერდზე გადავდევი და ცნობის მოყვარებით მიე-

ვარდი წერილს; მაგრამ ვისგანაც მოველოდი, ის არ იყო. ეს სულ სხვა წერილი იყო, სხვა აზრის, სხვა შინაარსის... აი აგერ დევს. მე წაკითხული მაქვს, მაგრამ კიდევ წავიკითხავ, წავიკითხავ იმიტომ, რომ მასში ბევრი რამ კარგია. აი წერილიც:

„ძმაო ვანო! ეს მესამედ არის წერილს გიგზენი და შენგან არაფერი პასუხი არ მომდის. რასაკვირველია, ამას შენს გულ-ციგობას ვერ მივაწერ, ვერ მივაწერ იმიტომ, რომ კარგად გიცნობ, თუ ისევე აღრინდელი ვანო-კი ხარ, მაგრამ ვინ იცის... მართალია ბედმა სხვა-და-სხვა მოქმედების წრე გვარგუნა, შორი-შორს გაგეტყორცნა ერთ?ანეთისაგან, მაგრამ რა ვუყოთ, კაცი ყველგან კაცი არის, მისი დანიშნულება მას თან დასდევს სამარის კარამდის. მოქმედების ასპარეზი ყველგან გაშლილი აქვს კაცს, ოღონდ ნლობა და ენერგია იყოს. ხომ გახსოვს უნივერსიტეტში რა რა და რა აზრები გვიკრუნჩხავდნენ თავის ქალას. ის აზრები არ არიან უმნიშვნელო ოცნებანი, სიყმაწვილის გატაცებანი, უიმედო საშუალებანი. მათში ბრჭყვინავს ნუგეშის ნაპერწკალი, რომელიც ჩირალდნად გადაქცევას გვიპირდება მომავალში. დიახ, ეს მე ვიცი, ვიცი არა ტეორიულად, არამედ გამოცდილებით და დაკვირვებით.— შენ ქალაქში ცხოვრობ სიმდიდრეში, სიამოვნებაში, სიტკბოებაში. ირგვლივ შენებრ ბედნიერთა კრებას შესცქერი. ყველა მხიარულია, ყველა იცინის, ყველა სიცოცხლით დამტკბარია; მხოლოდ ერთი ნაწილია დაჩაგრული, რომელთაც შენ ვერც-კი შეხვდები, ვერც კი შეამჩნევ. შენ ვერ დაუკვირდები მათს ცხოვრებას, იმიტომ რომ არ იცი, სად არიან და არც დაეძებ. ვერ გამოიკითხავ მათს გარემოებას, იმიტომ, რომ შეგრცხვება. ვერ იგრძნობ მათს ტანჯვას, რადგან თვით არ გამოგიცდია ის. ვერ შეხვალ მათს მდგომარეობაში, რადგან შენი გული მათთვის მკვდარია და არც შენი თავმომწონეობა მიგიშვებს ამ, ვითომ, დამცირებამდის. შენ სხვაც ბევრი გასართობი საგნებით თავი მობეზრებული გაქვს, გული აცრუებული. მუდამ-დღე ახალ ახალი დროს სატარებელი საგნები გიღვეს თვალ წინ. გინდა იკითხავ, გინდა სწერ, რასაკვირველია, რაც შენ გასიამოვნებს, გინდა მეგობრებში გახვალ და თავს შეიქცევ უმიზნო ტარტართ, უსარგებლო ბაასით. ახლა ეს თეატრიო, ეს ვეჩერები, ეს ბალები, კლუბები, ოპერები და ათასი სხვა. მაშ რა მოგაწყენს,

ან რა შეგაწუხებს!.. ირგვლივ სიამოვნება!.. დიახ, ასეთია ქალაქის ცხოვრება მათთვის, ვისაც სამზრუნველო არა რა აქვს. მე არ მივაწერ შენ მათს წრეში, არ ვიფიქრებ, რომ შენ ისე გაეტაცნო ცხოვრების სიტკბოს. რომ დაგვიწყებოდეს შენი უმაღლესი და უწმინდესი მიზანი. შენ ალბათ ზიზღით შესცქერი ყველა ამ ჩემგნით აწერილს ბედნიერებას ქალაქისას და ნატრობ სადმე მშვიდსა და მყუდრო ცხოვრებას, რომ უფრო თავისუფლათ მიეცე შენს საერო ზრუნვაზე ფიქრს... ვანო ცოტას ჩაფიქრდება და შემდეგ მწარის ღიმილით განიმეორებს უკანასკნელს სიტყვებს: «ნატრობ სადმე მშვიდსა და მყუდრო ცხოვრებას, რომ უფრო თავისუფლად მიეცე შენს საერო ზრუნვაზე ფიქრს!»!..— ჰმ! მე კი გუნებაშიც არ გამივლია ეს დიდებული აზრი?.. შემდეგ განაგრძობს კითხვას: ოჰ, რომ იცოდე რა მშვენიერებაა სოფელი!.. ეს ნამდვილი სამოთხეა!.. ხალხი აქ ისე ბუზბებივით კი არ ხეტიალობს, როგორც ქალაქში. აქ ყველა თავის საქმეზე მიმალული. სახლში უბრალოდ მჯდომარეს ვერაფერს ნახავ. ყველა მუშაობს, ყველა შრომობს. ხედავ ყანაში, ამ შუადღის პაპანაქება სიცხეში გულმოდელილს მუშას, რომელიც მხნედ მითოხნის წინ, ოფლი წურწურით გაღმოსდის სახეზე, თვალებში ჩაუდის, მაგრამ ის მას ყურადღებას ვერ აძლევს. უცქერი ამას და გული რაღაც ორ-გვარს ძალასა გრძნობს: სიამოვნებას და მწუხარებას, სიტკბოებას და სიმწარეს. გრძნობ, რომ შენი არსებობა მის შრომაზე ჰკიდია, მის ხელშია; მისითა ხარ მდიდარი, ბედნიერი; მისითა გაქვს უზრუნველი ცხოვრება. ის ზიზღით შემოგყურებს, თუ მას მაღლიდგან დასცქერი და ზარმაცად და უდარდელად აღევნებ თვალს მის ტანჯვას. მაგრამ მის სიხარულს და სიყვარულს საზღვარი არა აქვს, როცა შენც მასავეთ მშრომელს, მასავეთ მომქმედს გხედავს. მას შენზე უკეთესი არა ჰყავს რა მაშინ. ეს მისი სულის მოძრაობაც ცხადად იხატება მის გაღანჯულსა, მაგრამ გულწრფელს სახეზე. იმას შეუძლია დააფასოს შენი სიკეთე, ერთგულობა, სიყვარული. დიახ, მე ბედნიერი ვარ, ჩემო ვანო, ამ მუშა ხალხში. იმათ ჩემი გულის ბგერა ესმისთ და მე მათი. ჩვენ ერთმანეთისათვის სული და გული ვართ. ჩვენი ერთმანეთთან დამოკიდებულება არ არის ფარისელობით აღჭურვილი,



მცბიერობით შეთხზული და პირში ლაქუციით, როგორც ქალაქში. აქ ყოველივე პირდაპირია, მტკიცე და გაბელული... დიდი განსხვავებაა აქაურსა და იქაურს ქალებშიც. იქ ქალების საქმე არის: სიცილი, კისკისი, ვეჩერები, ბალები, ქუჩების ტყეპნა, პრანჭვაგრება, კეკლუცობა, სინაზე, ვაჭების დევნა. აქ კი:— შრომა, საქმიანობა, აზრიანი მოქმედება, შეიღების ზრდა, ოჯახის თვალ-ყურის დევნა. იქაური ქალები სხეულით მოშლილნი არიან, სულით დაცეპულნი, სახე გაფითრებულნი. აქაური—ჯანმრთელნი, სულით ძლიერნი, მოლაყლაყენი. იქ კარსეტით იწვრილებენ გულ-მუცელს და სუნთქვას იჭირებენ. აქ-კი გაშლილი გულ-მკერდი აქეთ და ამიტომ თავისუფალი სუნთქვაც. იქ ფარისევლობა და ორგულობაა, აქ ერთგულობა და გულწრფელობა... აი რამდენი განსხვავებაა მათშიც. ერთის სიტყვით სრული კონტრასტი სუფევს შენს ქალაქსა და ჩვენს სოფელს შორის. აქ შრომა-ცი ტკბილი და სასიამოვნოა. ხედავ, შენს შრომას ნაყოფი არ ეკარგება და თავს ბედნიერების მორევეში გრძნობ. ამითი მე ის არ მინდა ვთქვა, რომ ქალაქში ტხოვრება უფარგისია, ან ყველა სოფელში ცხოვრობდეს, არამედ მე ის მაწუხებს, რომ ჩვენი ნასწავლი ახალ-გაზღობა ქალაქებისაკენ ილტვის და სოფელს კი გვერდს უვლის, იმ სოფელს, სადაც მეტი დაჩაგრული ხალხია, მეტი გონების იწროობაა, მეტი უცოდინარობა და მოუშნადებლობაა ცხოვრებისათვის და ამიტომ სადაც მეტი მოქმედების ადგილი აქვს და სადაც მეტი სარგებლობა შეუძლია მოუტანოს ჭეშმარიტად განათლებულმა კაცმა. ქალაქის ცხოვრება-კი უბრალოდ იტაცებს ჩვენს ყმაწვილობას, ერთის მის მორევეში და სრულიად ურგებლად ჰქრება მისი ცხოვრება, ბევრჯერ ტვირთადაც უხდება გაჭირებულს ერს. ამის გამო არის, რომ იქ მეტი ნასწავლი ხალხი ტრიალებს, მეტი ტვინის მოძრაობაა, მაგრამ, საუბედუროდ, მათში ცოტანი არიან მიმართულნი საზოგადო სარგებლობისაკენ. მეტს ნაწილში უფრო პირადი სარფაა განვითარებული...

„ხომ არ გეწყინა, ვანო, ამას წინაზე რომ შესაწევნელი ფული გთხოვე ჩვენის ბანკის დაარსებისათვის? იქნება სულაც იმიტომ არას იწერები!.. მაშ გაგამხნევებ: ახლა აღარ არის საჭირო ჩვენთვის შენი ფული. ჩვენ უშენოდაც შევიძელით მისი დაარსება. ამ ცოტა ხანში სახალხო წიგნთ-საცავსაც გავაღებთ. თითქმის ყოველივე მზადა გვაქვს. ჩვენს სკოლაში ორასი შეგირდი სწავლობს. დიდებსაც ბევრს ვასწავლეთ წერა-კითხვა. ისინი განცდიფრებულნი არიან ჩვენის ასეთის საქციელით. მათს ფიქრში არ ყოფილა, თუ ნასწავლი კაცი სოფელში მოდგება, თავის შრომით იცხოვრებს და უბრალო მუშას მხარს არ აუქცევს, ზიზღით არ შეხედავს. ისინი ყოველს ნასწაველში ვილაც «ბრძანებელს» ხედავდნენ. მათის აზრით, კაცი იმიტომ უნდა სწავლობდეს უთუოდ, რომ თავისთვის კარგად იცხოვროს, უზრუნველად, სხვისი ნაშრომით სარგებლობდეს და ამასთან უთუოდ «სანახურის» კაცი იყოს. მე შევეუცვალე მათ ეს აზრი...»

«ახლა მინდა სხვა სოფელში გადავიდე მასწავლებლად და იქაურს ამბებსაც მოგწერ, რასაკვირველია, შენგან თუ რამე პასუხს მივიღებ, თორემ ჩემზე ხომ ბევრათ არ არის წერილების წერა. მართალი გითხრა, არც-კი მცალია; ძალიანი ცოტა დრო მაქვს თავისუფალი. დღე და ღამეში სულ ოთხი საათი მძინავს... ანეტამ მოგიკითხა, შესანიშნავი ქალია. სული და გული საზოგადოებისა. შენ არ იცნობ, ვგონებ, მას კარგად, ერთის მეტად არც კი გინახავს, რაც ჯვარი დაეწერეთ. არა ჰგავს შენს მეზობლებს... შენს ცხოვრებაზე რატო არაფერს მწერ! იქნება გნახო ამ ცოტა ხანში, თუ დრო ვიშოვე. შენი მიხაკო.»

შენი მიხაკო.

(დასასრული შემდეგში).

### ახალი წელი.

საზოგადო ჩვეულებით  
მივეგებოთ ახალს წელსა,  
ნუ დაგვარგავთ ნაანდერძევს  
მამა-პაპურს წესსა ძველსა.

გოზინაყით და ტბილ სასმლით  
დაუხვდეთ და მოუღონინოთ,  
ბედნიერს დღეს სიხარული  
ფიანდაზათ დაუფინოთ.

დავლოცოთ და პატივი ვსცეთ,  
მოგვიტანოს თუ რამ კარგი,  
ძველი წელი გავისტუმროთ,  
თან წაიღოს თვისი ბარგი.

დმერთმან ჰკითხოს ამ ერთ წელს, მან  
რაც თვალები აბრიადა,  
ჩვენი ქვეყნის ბედის ჩარხი  
რაც უკუღმა ატრიადა.

ახალს წელს კი, მოდით, გუდი  
ქართველურათ გადუშალოთ,  
ნურვინ გვზრახავს, ახალ სტუმარს  
თუ რომ სუფრაც გაუშალოთ.

ვიცი, ბევრსაც სადერდელი  
აეშლება სიტყვების თქმის,  
გულის ძგერით სურვილი და  
ნატვრაც ბევრი წარმოითქმის.

ნატვრა არის გასართობი,  
მხოლოდ გულის მოსაფხანნი.  
ბევრჯერ ვსცადეთ, გვარგო რასმე?  
ტუვილა ვკარგეთ დრო და ხანი.

ერთიც ვსცადეთ: მოდით შევკრბეთ  
თავი ერთად მოვიყაროთ,  
სულით, გულით შემესვრილით,  
უველამ მუნღი მოვიხაროთ;

ცას შევსტიროთ, ცხარე ცრემლი  
დავაპკუნოთ მიდორ ველად,  
ვსთხოვოთ, ჩვენი ჩვენვე შეგვრჩეს  
საზრდოთა და საყოფელად.

უველა თვის-თვის ნაცარს ქექდეს,  
სხვისას თვისად არვინ ხადდეს,  
ცრუ ვიქილი უკუდმართად  
სხვის საქმეებს არ იცავდეს...

ნინევი ხომ ცრემლის დვრიითა  
ასცდა ერთხელ დაქცევასა,  
დღესაც ზეცა განიკითხავს  
ერის ცრემლის დაქცევასა.

სიმართლესა ნუ ვინ თელავს,  
რისთვის უნდა დაისაჯოს!  
ზეცა იუოს განპკითხველი,  
მივანდოთ, ეს მან განსაჯოს.

ახალ წელსაც თან მოუვება  
ვასილ დიდის სადვთო მადლი,  
ავგარგისა გასაზომად  
მანც იხმაროს მისი ადლი.

დამნაშავე დასასჯელად  
წარადგინოს, სადაც ჯერ არს  
ეგებ, შემდეგ მაინც ავსცდეთ  
უსამართლო გულის ძგერას.

რაუდენ საფაოხელი.

1892 წ.  
1 იანვარი.

### საახალწლო ესმპრომტები.

ა. ე—ს.

შენებრ სპეტაკი მიმართულებით  
ჯერ არასოდეს არ გელირსებია;  
შენის ნაწერით ჩვენ თავი მოგვაქვს—  
შრანგთაც-კი მასში წილი რგებია.

შენი სიცოცხლე ჩვენ გვასულღმულებს,  
პვლავ გვიღვიძდება შენი იმედი.  
აღსდექ, დასძლიე უწყალო სენსა  
და აღგვიდგინე ტანჯულებს ბედი!

ჩვენ ვმგლოვიარობთ, შენ იქიტანჯვი,  
შს ვერაფერი სამართალია.  
ნსევ ლმერთსა ვსთხოვთ, რომ არ დაგვმორღე  
და აღორძინოს, რაც მართალია.

ი. ჭ—ეს.

«ჰოჯოხეთის მანათობმა»

ჩაჰყლაპა და ჩაიტანა;  
წმინდა აზრს პირი აბრუნა,  
ღაიმეგობრა სატანა.

ჰაბუკობის ოცნებანი  
ბაუქარწყლდა, მტერად აქცია;  
ღიდებას ხელი ჩასჭილა

ძეთილს გზას ზურგი აქცია.  
შორით ოქროებრ ლაპლაპებს,

ნაწერთ მოაქვს თავია—  
ახლოს კი ღმერთმა გარიდოს:  
ბაუმაძღარი სვავია.

ს. წ—ღს.

რაც იყო, ისევ ის არის,  
ცოტა რამ თუ შეუცვლია;  
აზრი კეთილი ბოროტზე  
სხვებზე მაინც არ გაუცვლია.

რითაც რომ საქები იყო—  
ნამცეციც არ მოჰკლებია;  
ღა ოქროების ტიკტორას  
წერაც არ მიჰკვდლებია.

ნ. ნ—ეს.

მრთი ხანია ამანაც  
ზურგს აიკიდა ფონალი  
ღა ყველას თავი შიგ უკრა,  
საც კი ნახა ნაონარი.

არას დაგიდევს: ბევრი გაქვს—  
მასაც ერგება წილია;  
შარი ვინმემ გაბედოს,  
თუ დედამისის შვილია!

საძაგს არას მოგახსენებთ,  
ის ძველი წინამძღვარია;  
მისთვის სუყველა ერთია,  
არსად დაუდევს ზღვარია.

ს. ფ—ეს.

ბევრსა სძულს, რადგან მტერია  
უქმ-მჭამლისა და «დიდისა»,  
ძველას პირში უკიჟინებს,  
შიქრი არა აქვს რიდისა.

ცოტა ჰყავს მისი მოაზრე,  
მაგრამ სულ სალი კლდე არი  
შიქრი არ არის—იმატებს,  
ცოტით მესდგება ლაშქარი,

ბ. წ—ღს.

მოთხრობებს კარგი გზა-კვალი  
მტყობა, თუ არ უხვია.  
წერაში, უნდა გაგიტყდეთ  
ძი, ვერაფერი უხვია.

მრთხელ კინალამ დაგვებნა,  
ძილამ მოგეტაცა ეაჭარმა,  
მაგრამ ისევე მოგვებნა,  
ბამოუქროლა სხვა ქარმა.

დ. ე—გს.

წერას ხომ თავი ანება,  
ნაწერის სხრეკა სწადია,  
სურს რომ არც შამფური დასწვას—  
თუ მოხდა—არცა მწვადია.

სიმატარეს ცოტა მოულობს,  
ძს არის ჩვენი თხოვნაო;  
თუ ყოველს სიტყვას არ გასდევს,  
ბევექნება მისი ხსოვნაო.

გ. მ—ღს.

მღვევატორის პროექტი  
ძარგი რამ დაგიწერია,  
მაგრამ აქლემად რად გიჩანს  
შბრალო ბუზა-მწერია!

ძვეყნის ორგული ბევრი გვყავს,  
ბეითითე ცხადი მტერია.  
«შენგან ბევრს კარგება მოველით»—  
ბულებზე დაგვიწერია.

შ. მ—ღს.

ახალგაზდა პოეტებში  
ძარგის ენით სწერს ზაყელი,  
მაგრამ ნამეტანს მღვიმელობს—  
შერაა კარგი სახელი.

კ. ჩ—ეს.

აყავდი, წრფელო ჰაბუკო,  
იმატე ჩვენს სალხენადა  
ღა გადმოგვეცი საზრდელად  
ჩაგრულთ შეწვენა მცნებადა.

შენა და შენთა მეგობარო  
არ არეოდესთ: გზა-კვალი  
ბადაგეხადოსთ ქვეყნისთვის  
მათი ნაშრომი და ვალი.

ად. წ—ეს.

შეტყობა სიმხნე, სიმტკიცე და მძლეთა-მძლე ენერჯია; შენებრ მოღვაწი ქვეყნისთვის, მერწმუნე, ღიღი ნერვია.

ა. რ—ს.

ძეთოლისა ხარ მოყვასი, ბოროტის პირში მთქმელია. მრთს გირჩევე: მეტი სიცხარე ბოლოს დროს სანაღვლეელია.

ს. ჯ—ეს.

ბოხოვე, სიუციუა მოუკელი, სხეებთან ერთად სჭერი-კაფე და თავის დროს გადმოგვქანე მუგულივით: «სთესე-კაფე».

ბ. შ—ეს.

რომელ გზასაც დადგომიხარ, მისურვებ არ უღალატო. ნელი ჩქარზე შეცვლილიყოს, არ სჭიროდეს მას «ტაატო».

ჟ. ქ—სას.

მისურვებ, რომ შენს წმინდა აზრს მიპყლოდნენ შენნი ტოლნი და კვლავ შენებრ აღზრდილიყვნენ ღედანი და დანი, ცოლნი.

დ. გ—ლს.

ძარგს მეგობრებს თავს წააწყდი, უკეთესს ნულარ მოვლი; საქმეს ჩასჭიდე ხელები, მნას კი ცოტა უკელი. თბილ. წიგნების გამ. ამხანაგობას.

იზარდე, ნორჩო მუშაკო, ბნელს შეეჯახე მედგრად; ხომ იცი, საქვეყნო ვალი რა გიკისრია ბევრად.

სასაღსო და სამწვეფო სკოლებს.

მისურვებ, რომ თქვენი რიცხვი ასი იყოს ერთისნაცვლად; წინამძღვრები მამა იყვნენ, არა ბოროტ მამინაცვლად.

ტიტოსია.

ახალი ამბები და შენიშვნები.

14 იანვარს, წმ. ნინოას, ქუთაისის ეკლესიაში მადიდებელ ეკლესიებში შესრულებულ იქნა წიგნა და წიგნის შემდეგ გადაისადეს პარაკლისები საქარველოს განმანათლებელის ნინას სახელზედ.

\* \* \*

ბათუმის ეკლესიის წინამძღვრის ადგილი დაიცალა შემდეგ მ. დეკანოზის ს. ქიქოძის გადატყველებისა. ეს ადგილი ბეკრმა პირმა ითხოვა, რადგან ამ ეკლესიის წინამძღვრს ეძლევა უპაგიანო წელიწადში 1800 მანეთი და გარეშე შემოსავალიც დიდა. ამიტომ ბეკრმა მოინდომა თავისი სამწესოს მიტოვება და ამ ადგილზე გადასვლა, წარმოადგინეთ, რომ ერთ აჩქიმანდრიტსაც უთხოვინა ეს მღვდლის ადგილი, მხოლოდ იმ პირობით, რომ იმ მონასტრის წინამძღვრათაც ითვლებოდეს, სდაც დღემდის არის. ამ მ. აჩქიმანდრიტს დღეს თავის მონასტრადამ ეძლევა წელიწადში 500 მანეთადე. ამას გარდა ეძლევა კიდევ სხვა 1500 მანეთი. ეკლესია უპაგიანობა და გარეშე შემოსავალი შეადგენენ 6000 მ. თუ ბათუმის სასწავლებლებშია ცოცხალი საღმრთო სწულის გაკეთილება, გვანებთ, არც ამასე იტყვიან უარს.


\* \* \*

ჩვენ შევიტყუეთ, რომ გუჩა-სამეგრელოს ეპისკოპოსს გრიგორის ქსუქს სამი მღვდლის ადგილის დაწესება ბათუმის ეკლესიაში.

\* \* \*

ჩვენ მივიღეთ თბილისის ეპარქიალური სასწავლებლის რჩევისაგან გახეთში დასაბეჭდათ შემდეგი განცხადება:

რჩევა თბილისის ღედათა ეპარქიალური სასწავლებლისა ამით აცხადებს გურიის სამღვდლოეობის საყურადღებოდ, რომ ამ სასწავლებლის III კლასის მოწაფის ტვირისია ხომეოიკის გარდაცვალების შემდეგ დაიცალა ერთი სტიპენდია გურიის სამღვდლოეობის ქალთათვის. თხოვნები აღნიშნულს სტიპენდიაზე მიღების შესახებ შეჯანილ უნდა იქნეს სასწავლებლის რჩევის სახელზედ; აგრეთვე წარდგენილ უნდა იქნეს მეტრიკული მოწმობა, ანუ აღმოწერილობა მეტრიკის წიგნიდან, მოწმობა ყვავილის აკრისა და სილარიობის მოწმობა, მიცემული ადგილობრივი ბლადოჩინისაგან.



# სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კეთილ-ზნეობაზედ.

ძოთნრობა ერთ იმ ლურსმანზე, რომლითაც მი-ჭედელი იყო ჯვარზე იესო ქრისტე.

მე-IV საუკუნიდამ, როცა საქართველოში ქრისტეს სწავლა გაავრცელა წმ. მოციქულთ-სწორმა ნინამ, საქართველოს მეფეები, რომელნიც დიდ პატივსა სცემდნენ პალესტინის წმიდა ადგილებს, დაუნათესავედნ ბიზანტიის იმპერატორების გვარეულობას და საქიროების დროს ეხმარებოდნენ ბერძნებს თავისი ჯარით. უმთავრესი მიზანი საქართველოს მეფეების ბიზანტიის იმპერატორებთან დაახლოებისა იყო, რომ ქართველებს ნება ჰქონოდათ წმ. ადგილებში მიმოსვლია. ამ სახით საქართველოში მკვიდრს ნიადგზე ფუძნდებოდა ქრისტეს სახარების სწავლა. გარდა ამისა საქართველოში შემოტანილ იქმნა ბიზანტიიდან სხვა-და-სხვა წმიდა ნაშთები. მართლაც იერუსალიმის შემდეგ წმ. ნაშთებით შესანიშნავია ჩვენი საქართველო. ვინ მოსთვლის, თუ რამდენი წმ. ნაშთებია შემოტანილი იერუსალიმიდან საქართველოში, — ამ ლეთის-მშობლის წილ-ხლომილს ქვეყანაში. საქართველომაც ეს წმიდა ნაშთები ხელუხლებლად დაიფარა სხვა-და-სხვა ურწმუნო ერთაგან, რომელნიც მუდამ გარს ეხვიენ საქართველოს და ჰსურდათ მისი აოხრება.

ამ ძვირფას ნაშთთა შორის შესანიშნავია წმ. ლურსმანი, რომლითაც მაცხოვარი ჩვენი იესო ქრისტე მიმსჯეალული იყო ჯვარზე. ეს წმ. ლურსმანი მე-XVII საუკუნის მეორე ნახევარში იმერეთიდან წაიღო რუსეთს იმერეთის მეფე არჩილმა.

როგორც მოწმობს საქართველოს მატთანე— «ქართლის ცხოვრება», კონსტანტინე დიდმა, როცა მან გამოისტუმრა საქართველოდან გაგზავნილი კაცები და ეპისკოპოსი საქართველოში ახლად დაარსებული ეკლესიისათვის და ხუროთ-მოძღვრებე, საქართველოს სულიერს მოძღვარს თანახმად მეფე მირიანის თხოვნისა, ჩააბარა წმ. ლურსმები, რომლითაც იესო ქრისტე გამსჭვალული იყო ჯვარზე. ამასთანავე მასვე გადასცა ჯვრის საფეხური და დიდძალი ფული საქართველოში ეკლესიების ასაშენებლად. კონსტანტინე დიდმა სთხოვა საქართველოს მოძღვარს, რომ მისგან მიცემული ფულებით აეშენებიათ ტაძარი ქართლის საზღვარზე, სადაც ისინი პირველად შესდგმენ ფეხს საქართველოში. ეპისკოპოსი და სხვანი მისი თანამოგზაურნი გამოემგზავრნენ საქართველოსკენ.

როცა მოგზაურნი მოვიდნენ დაბა ერუშეტს, რომელიც მდებარეობდა მდინარე მტკვრის სათავის ორივე მხარეს, ახალციხის სამთავროში, ეპისკოპოსმა დასტოვა აქ კალატოზები ტაძრის ასაშენებლად და ამ ტაძარში დასასვენებლად დასტოვა წმ. ლურსმანი უფლის ჯვრისა (სასმჭვალნი ხელოანი). ამ ადგილს მე-IV საუკუნეში აღშენებულ იქმნა შშვენიერი ტაძარი. ეს ტაძარი, რომელიც დღემდე დაცულია, იყო კათედრა ერუშეთის ეპისკოპოსისა. ერუშეთიდან ეპისკოპოსი და მისი თანამოგზაურნი გაემგზავრნენ მანგლისისკენ, სადაც ჩაჰყარეს ეკლესიის საფუძველი და ამ ტაძარში დასასვენებლად დასტოვეს ქრისტეს ჯვრის საფეხური. მეფე მირიანს ძლიერ საწყყნად დაურჩა, როცა გაიგო, რომ მისგან გაგზავნილინი კაცები და კონსტანტინე დიდისაგან გამოგზავნილი ეპისკოპოსი არ გამოცხადდნ პირველად მასთან სატახტო ქალაქში, არამედ თავის ნებით აშენებდნ ტაძრებს და ამ ტაძრებში დასასვენებლად სტოვებენ იმ ძვირფას ნივთებს, რომელიც მან სთხოვა ბიზანტიის მეფე კონსტანტინე დიდს. როცა წმ. ნინამ გაიგო მეფე მირიანის მწუხარება, მივიდა მეფესთან ანუგეშა იგი და უთხრა: «ნუ სწუხარ, მეფე, ეს ასე უნდა მომხდარიყო, რადგან ამით უფრო გავრცელდება ქრისტეს სარწმუნოება შენს სამეფოში და უფროც დამკვიდრდება იგი. შენთვის და შენი სატახტო ქალაქისათვის ისიც საკმაოა, რომ აქ არის დიდებული კვართი უფლისა“.

წმიდა ლურსმები ინახებოდნენ საქართველოში ბიზანტიის იმპერატორის ირაკლის დრომდე; ამ იპვე-რატორს ჰსურდა განეთავისუფლებია ცხოველ-მყოფელი ჯვარი ქრისტესი პერსიელებისაგან, ამიტომ იგი გამოემგზავრა საქართველოში, რომ პირობა შეეკრა საქართველოს მმართველ სტეფანოზთან და თავისკენ მიემხრო საქართველოს ჯვარი. მაგრამ საქართველოს მმართველმა სტეფანოზმა, რომელმაც აღრვეე მი-ლო პერსიის შაჰის პარეიზის ქვეშევრდომობა, რომ ამით დაეფარა საქართველო შაჰის აოხრებისაგან, უარი უთხრა საბერძნეთის მეფეს ირაკლის მის თხოვნაზე; ამის გამო ირაკლის ჯარი გარს შემოადგა სატახტო ქალაქს თბილისს და დიდი წვალეზის შემდეგ დაიჭირა ეს ქალაქი, სტეფანოვი, რომელიც არ დაეთანხმა ირაკლის, მოკლულ იქმნა და საქართველოს მმართველად დანიშნულ იქმნა ადარნასე, ბიზანტიის იმპერატორის ირაკლის კრეატურა.

529 წელში იმპერატორმა ირაკლიმ, სასიხარულოდ ყველა ქრისტიანებისა, განათავისუფლა ტყვეობისაგან ძელი უფლის ჯვრისა, რომელიც თათხმეტი წელიწადი იყო ტყვეობაში და როცა საქართველოდან ბიზანტიაში გაემგზავრა, თან წაიღო საქართველოდან სასწაულთ-მოძქმენი ხატები, წმ. ნაწილეები და წმ. ლურსმები. ამ თავისი მოუფთქრებელი

საქციელოთ იმპერატორმა ძალიან ცუდი სახელი დასტოვა საქართველოში და მტრობა ჩამოაგდო ქართველებსა და ბერძენთ შორის.

ძლიერ ძნელი მოსათმენი იყო ქართველებისაგან ასეთი შეურაცხება, რომელიც მიაყენა მათ მათვე თანამორწმუნე ერმა, მაგრამ როგორც მოაჩივრებდა შვილნი მართლ-მადიდებელი ეკლესიისა, დაემორჩილნენ მაშინდელს გარემოებას, მაგრამ მუდამ კი ფიქრობდნენ და ცდილობდნენ რაიმე გზით დაებრუნებიათ ბიზანტიიდან ეს წმ. ნივთები, რომელიც მოიტაცა საქართველოდან იმპერატორმა ირაკლიმ. ამ დაკარგული ნივთების დაბრუნება შესაძლებელი შეიქნა, როცა საქართველო უფრო ძლიერი შეიქნა პოლიტიკურად ხოლო მედიდური ბიზანტია დასუსტდა და საჭირო შეიქმნა მისთვის საქართველოს დახმარება როგორც მისს შინაურ ისე გარეშე მტერთა წინააღმდეგ.

მართლაც ქართველებს მალე მიეცათ შემთხვევა, რომ ნება-ყოფლობით დაებრუნებიათ ზემოთ მოხსენებულნი წმ. ნივთები საბერძნეთიდან. საქართველოს მეფე ბაგრატ IV (1028—1072 წ.), რომელმაც ააგო მშენებელი ტაძრები საქართველოში, შეირთო ცოლად საბერძნეთის იმპერატორის რომან არგირის ძმისწული, ელენე და სხვა-და-სხვა ძვირფას ნივთთა შორის მიიღო: წმიდა ნაწილები, სასწაულთმოქმედნი ხატები და ერთი იმ წმ. ლურსმანთაგან, რომლითაც მიმსჯელო იყო მაცხოვარი ჯვარზე. ეს წმ. ლურსმანი მეფე ბაგრატ IV დაასვენა მისგან აღშენებულს ქუთაისის საკათედრო სობოროში. ამ წმ. ლურსმანს დიდს პატივს სცემდნენ საქართველოს მეფეები და ერი. მეფე დავითმა (1243—1293 წ.) დიდი თამარის შეილის-შვილმა ამ წმ. ლურსმანისათვის გააკეთა ძვირფასი გვირგვინი, რომელშიაც ინახებოდა ეს წმ. ლურსმანი უფლის ჯვრისა ქართლი-იმერეთის მეფის არჩილის დრომდე (1664—1706 წ.)

მე-XVII საუკუნის მეორე ნახევარში ქართლის სამეფო ტახტზე ავიდა მეფე არჩილი, ძე ვახტანგ V (1658—1676 წ.), რომელიც იყო პირველი წარმომადგენელი მუხრანის ბაგრატიდებისა ქართლის ტახტზე. საყურადღებოა ამ მეფის ცხოვრება. არც ერთ საქართველოს მეფეებთაგანს არ შეხვედრია იმდენი უბედურება, რაც შეხვდა მეფე არჩილს. იგი იძულებული შეიქნა დაეტოვებია კახეთის სამეფო. მაგრამ აღრევე დაიჭირა ქართლის სამეფო ტახტი, რომელიც შემდეგ დაუთმო თავის ძმას გიორგი XI, ხოლო თვითონ წავიდა იმერეთში ილბალის საძებნად, რამდენჯერმე დაიკავა იმერეთის ტახტი და თვითონ იმერეთის დიდი კაცების და სამღვდელოების თხოვნით ცხებულ იქმნა მეფედ და გვირგვინებულ მართლ-მადიდებელი ეკლესიის წესისამებრ სატახტო ქალაქს ქუთაისში. მაგრამ, როცა

დაინახა, რომ ის დიდხანს ვერ შეიკავებდა თავს იმერეთის ტახტზე, რადგან მასს თათრები ემტერებოდნენ, არჩილმა თავის ძმის მეფის გიორგის რჩევით ამოირჩია საცხოვრებლად რუაეთი, სადაც თავის სახლობით გადაესახლა.

იმერეთის სამეფოს დატოვების შემდეგ, მეფე არჩილმა 1686 წელს წაიღო ქუთაისიდან წმიდა ლურსმანი უფლის ჯვრისა. მაშინდელს ქათალიკოსს აფხაზეთისას ძლიერ სამწუნაროდ დაურჩა არჩილსაგან წმ. ლურსმანის წაღება, და როგორც მოწმობს იმერეთის უკანასკნელი მიტრაპოლიტი დავითი, ქათალიკოსი მოეწია მეფეს ქალაქის ციხის კარებთან და სთხოვა მასს, რომ ამ წმიდა ლურსმანისაგან ცოტადენი ნაწილი მიეცა მოეტეხა და დაეტოვებია სანახოვროდ, რომ იგი დიდი ხანი ინახებოდა ბაგრატის ტაძარში. არჩილმა შეისმინა მოხუცებული მწყემსთ-მთავრის ვედრება, აღასრულა მისი თხოვნა და მოსტეხა ამ წმ. ლურსმანს წვერო და დაუტოვა მასს. ეს წმ. ნაწილი, ვერცხლის პატარა კილობანში ჩასვენებული, უნახავს 1848 წელს გამოჩენილს მოგზაურს მურავეევს ქუთაისის საკრებულო ტაძრად ყოფილს მიძინების ეკლესიაში, რომელიც მიშენებულია ბაგრატის დიდებული ტაძრის შესავალთან.

(დასასრული იქნება).

### სახსალწლო საუბარი მრევლის მღვდლისა.

საუბარელონო ძმანო, მოგილოცავთ ახალს წელიწადს ახალის ბედნიერებით. ვისურვებ თქვენთვის უოვედს კეთილს და მხურვალეს გულით ვევედრები ჩვენთვის ჯვარცმულ მაცხოვარს, რათა ეს ახალი წელიწადი იქნეს თქვენთვის უოვლად ბედნიერი: ნაშრომ ნადვაწსა თქვენსა მისცემოდეს დიდი ბარაქა, ცას თქვენთვის კეთილი ცვარი ენამოს და დედამიწას აღმოეცენოს უხვი და კეთილი ნაყოფიერებანი. დიან, ძმანო, უვედა ამაებს და სხვა მრავალ კეთილს ვისურვებ თქვენთვის ამ ახალს წელში წრფელის გულით, მაგრამ საგანი აწინდელი ჩემი საუბრისა კი ძველი წელიწადი არის. მსურს მოგაგონოთ იგი, რათა მისი მოგონებით ჩავხვდეთ ჩვენ კეთილსა საგონებელსა. მოვიგონოთ, ძმანო, ძველი წელიწადი. სად განქრა იგი? იგი განქრა და განიღოა წინა საუკუნოებში, ვითარცა წვეთი ზღვაში. მას ვედარ

ვინილავთ. განქრა ძველი წელი; მაგრამ საქმენი კეთილნი და ბოროტნი, რომელნიც ჩვენ მას შინა გვიქმნია, არ გამქრალან, ცოცხალ არიან და იცოცხლებენ, ვიდრე ქრისტეს საშინელ სამსჯავროდმე. უოველი ჩვენი კეთილი საქმე უწერია ანგელოსს. უოველი ბოროტი საქმე უწერია ეშმაკს. თითოეული კეთილი საქმისათვის მოგველის ჯილდო ცაათა შინა, ხოლო თითოეული ბოროტი საქმისათვის—ტანჯვა ჯოჯოხეთსა შინა. მოვიგონოთ, ძმანო, ძველი წელიწადი და დაფიქრდეთ: რა უფრო ბევრი გვიქმნია მას შინა: კეთილი, თუ ბოროტი, ცოდვა, თუ მადლი?

ნება მიბოძეთ, წმინდის ეკლესიის სახელით დავეკითხო თქვენს სინიდისს; რათა თვითოეულს თქვენგანს თავის-თავად გულწრფელად შეეძლოს ვასუნის გება წინაშე ღვთისა.

რა კეთილი გიქნია წარსულს წელში? გკითხავ ჯერ შენ, მდიდარო? შენ უოველთვის თავად წინ გედგა ტანჯული ცხოვრება უოვლად გასაწყლებულის შეიის მეზობლისა. შეწევინარ შენ იმას ოდესმე რაიმე საქმეში უსასყიდლოდ? შენ გსმენია კვნესა-ოხვრა ლოგინზე დავრდომილის ავად-მოყოფის ქერივ-ოხრისა? შესუღხარ შენ მასთან, გინუგეშებია იგი და ან გიზრუნავს მის მორჩენაზე? გუოლია მევაღეც, უკიდურეს სიღარიბეში შთავარდნილი. გიპატივებია შენ მისთვის ნახევარი ანუ მესამედი შენი ვაფისა?

შენ იცოდი, რომ შენს სოფელში გარდაიცვალა უოვლად დარიბი და წვრილი ცოლ-შვილის პატრონი ოჯახის მეუმფროსე. მიგიღია მონაწილეობა მის დასაფლავებაში? მიგიტანია ან ფიცარი კუბოსათვის, ან ფქვილი, ანუ ღვინო, ანუ ზეთი, ანუ სანთელი მისი სულის მოსახსენებლად? თუ მისუღხარ, მადლის გული-სათვის ან თუ გისვამს, გიჭამია, ზარალი, მიგიცია უმისოდაც დაზარალებულ ოჯახისათვის?

გკითხავ ენლა შენ, დარიბო, ოდეს სხვას მოჯამაგირედ უდექ, ისე ერთგულად, ბეჯითად და მიუყითად ასრულებდი უოველ მისს სამუშევარს, როგორც შენი ოჯახის საკუთრებს, თუ ცუდლუტად ექცოდი მას, რომ თითოეული დდე უქმად გაგეტარებინა?

გქონია მოთმინება, ოდეს მდიდარს შენთვის რაიმე უწყენინებია, თუ მაგიერად შენ ის გაღანძდე უშვერის სიტყვებითა? არა სცხონდების მდიდარი უმოწყალო და არცა დარიბი, რომელსა არა აქვს მოთმინება.

გკითხავთ ენლა სათითაოდ უველას: შენ იწოდები მამად და მშობლად შენის შვილებისა. ადგიზრდია შენ ისინი ქრისტეანულ ცხოვრებაში? იციან მათ ღვთის ვედრება, ეკლესიაში სიარული და ან უმფროსთა მორჩილება? ჩაგიგონებია თუ არა მათთვის, რა არის ცოდვა, და რა არის მადლი? შენ, დედაო, მიგიცია თუ არა დარიგება შენი ასულისათვის, რომ მას უდროვო დროს არ ევლო უმართებულო სათამაშოებში, რომ მას ამით თავისი ქაღწელება არ შეეზიფა, არ გამხდარიყო ქვეყნის სასაცილო და დდე მამის სამარცხვინო?

შენ, შვილო ანუ ასულო, გიცია პატივი დედმამისათვის და დამორჩილებიხარ უოველს მის კანონიერ ბრძანებას? ასე, ძმანო, უველანი დაფიქრდით და მოიგონეთ, თუ ვის რა კეთილი საქმე გიქმნია მთელი წარსული წლის განმავლობაში. ბევრნი არიან ეს კეთილნი საქმენი და ან უოველთვის სცდილობდით მათთა ქმნას? თუ უოველთვის და უოველ დდეს, მამ კურთხევა უფლისა იყოს თქვენზედა. აქებდეთ დმერთსა და არა თავსა თქვენსა, ვინაიდგან უოველივე კეთილი არს ღვთისაგან და არა ჩვენგან.

მაგრამ ერთიც ვნახოთ, კაი ხნის დაფიქრებისა და დაკვირვების შემდეგ, შენ ვერ ჰპოვე შენში ვერც ერთი კეთილი საქმე, რომელიც შენ წარსულ წელში შეგესრულებიოს და ნაცვლად კეთილთა საქმეთა თავად წინ წარმოგიდგა ათას ფერი ცოდვა, მაგალითად: ენა შენი შეგიბილწავს უშვერის ღანძღვა-გინებითა, ხმა შენი შეგიბაღლავს საზიზღარის სიმღერითა, თვალნი ხედვითა, რისთვისაც არ უნდა შეგენედა, ყურნი სმენითა მაცდუროვანის საუბრითა, ხელნი ქრდობითა და მტაცებლობითა, ფერხნი სვლითა უკეთურს გზაზე; თავი საძაგელის ფიქრებითა და გული ბოროტის გულისთქმითა. ერთი სიტყვით, მთელი წარსული წელიწადი შენ გაგიტარებია ბოროტებაში და უკეთურებაში. ოჰ, ძმანო, თუ მართლა ამნაირს ცოდვებსა გრძნობ შენში, ნუღარ ჰკარგავ დროს. ჭკუა მოიკ-

რიბე, დახედე წარსულს წელს შენი ცოდვებით აქაფებულს ზღვას, წარმოიდგინე მსწრაფელ მოულოდნელი შენი სიკვდილი, შენი სამინელი მსაჯული და დაფიქრდი. იკი რა გელის შენ უზომოდ ცოდვილს? ტანჯვა ჯოჯოხეთსა შინა, ცეცხლი დაუძრეტილი და მატლი დაუძინებელი! მაგრამ თუ გინდა, აგმორდეს ეს განსაცდელი, დაუყოვნებლივ მიმართე ქრისტე მაცხოვარს ღოკვითა და სინანულითა. მოწყალე იესო შეისმენს შენს ვედრებას, წრფელი სინანული იხსნის სულისა შენსა, სიწმინდე გულისა შენისა მოგაშორებს ტანჯვასა უტყვარ ულისა ჯოჯოხეთისასა.

დღეის შემდგომ გამოსცვალე, ძმაო, შენი ცხოვრება, მოერიდე უოველს ცოდვას, მოიძიე მშვიდობა და ჰქმენ კეთილი. დღევანდელი დღე იუოს, ძმაო, შენთვის და უველა ჩვენ ცოდვილთათვის დასაწყისი ანლისა ცხოვრებისა ქრისტე იესოს მიმართ უფლისა ჩვენისა, რომელსა შვენის დიდება, ჰატივი და თაყვანისცემა უკუნითი უკუნისამდე. ამინ!

მღვდელი მიხეილ გაგაშელავი.

## საეჭვო კითხვების განმარტება.

1) რამდენი ფული შეუძლია დახარჯოს მნათემ (სტატუსტამ) კრებულის თანხმობით ეკკლესიის საჯი. რაებისათვის?

მნათეთა ინსტრუქციაში სწერია, რომ ეკკლესიის მღვდლის თანხმობით მნათეს ეკკლესიის საჭიროებისთვის შეუძლია დახარჯოს წლის განმავლობაში 50 მანეთი, ხოლო 50-ათ მანეთზედ მეტის დახარჯვის შესახებ უთუოდ მღვდელ-მთავრის ნებართვა უნდა გამოითხოვონ.

2) შეიძლება თუ არა ერთჯერ ნაგურთხი ზეთის ხმაჩება მკარე ღამისთეკის ცისკრის შესრულების დროს?

კურთხევეანში ერთჯერ ნაკურთხი ზეთის ხმარების შესახებ სწერია, რომ რაც ზეთი ვადარჩება ცხე-

ბის შემდეგ, იგი შეიძლება საქმელადაც იხმარონ. ამისათვის რიგია, რომ ყოველთვის ახლად იქნეს ზეთი ნაკურთხი, როცა საჭირო.

3) სშირად რაიმე დამნაშაების თავის მღვდელს ხარისხი ეხდება. რა დროდამ შეიჩინება მღვდელი ხარისხის ჩამოკლებულად: რადესაც განხილება დადგინდება, თუ რადესაც ეს განხილება გამოეცხადება მღვდელს?

ყოველი განჩინება მაშინ შევა ძალაში, როდესაც იგი აღსრულებაში მოვა. ამ შემთხვევაში განჩინება სისრულეში მოდის მაშინ, როცა დამნაშავეს ეცხადება განჩინება და არა მაშინ, როცა ეს განჩინება დადგინდება სასამართლოში. გამოცხადების შემდეგ სასულიერო წართებლობის განჩინება სისრულეში მოდის და საქმეს არ შეაყენებს, ამ განჩინების შესახებ კიდევ რომ სჩივარი ვადიტანოს დამნაშავემ უმაღლესს სასამართლოში.

4) შეუძლია თუ არა ითხოვოს მღვდელმა განქორწინება, რადესაც ცოლი დაარღვევს ცოლ-ქმრობის რწმუნებას?

ნეოკესარიის მერვე კრების კანონით მღვდელი მემრუ შე ცოლს უთუოდ უნდა გაეყაროს; თუ ამისთანა ცოლს არ გაეყარა, მაშინ ამისთანა მღვდელს უნდა აღეკრძალოს საღმრთო მოქმედებათა შესრულება და საზოგადოდ მღვდელ-მოქმედება. ცოლსაც შეუძლია, რასაკვირველია, გაეყაროს ქმარს, თუ ქმარი არღვევს ცოლ-ქმრობის კავშირს. მაღლობა ღმერთს, რომ ამისთანა შემთხვევა ძლიერ იშვიათად ხდება...

5) აქვს თუ არა უფლება მღვდელ-მთავარს შტატ გარეთ აკურთხოს კინძე მღვდელად?

უწმიდესის სინოდის, უმაღლესად დამტკიცებულის, განჩინების ძალით 16 თებერვლიდამ 1885 წლისა და თანახმად კონსისტორიის წესდების 71 პორაგრაფისა კრებულთა შტატის ცვლილებაზედ უნდა გამოთხოვილ იქნეს ვარდაწყვეტილება უწმ. სინოდისაგან. ამისათვის არ შეიძლება არც მომატება და არც დაკლება ერთხელ დამტკიცებული შტატისა.